ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 118 (20459) — ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1989 ᲬᲚᲘᲡ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

● **ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲐ** „მუხრანის ველმა“ თავიდან ცუდი სახელი როდი დაიმკვიდრა. პრესაშიც მრავალჯერ დაიწერა მის შესახებ საქებარი სიტყვები. მაგრამ დღეს იძულებულნი ვართ სუსხიანი სტრიქონები გამოვაქვეყნოთ (**„ჩამოხვეწილი მუშახელის იმედით“**).

● **ᲩᲕᲔᲜᲡ** ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის, დემოკრატიზაციის პროცესმა ადრე მიჩუმათებული არაერთი მწვავე საკითხი წამოჭრა. მათ შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებების გაფართოების პრობლემას (**„...და გვიბრუნდება ბუმერანგივით“**).

ᲒᲕ-2 ᲒᲒ.

ᲓᲦᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲒᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

● **1918 ᲬᲚᲘᲡ** 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ამით ჩვენმა ხალხმა აღიდგინა 117 წლის წინ დაკარგული დამოუკიდებლობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ეს არის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მრავალტანჯულ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში (**„საუკუნის გარიჟრაჟზე“**).

ᲒᲕ-3 ᲒᲒ.

● **ᲙᲕᲚᲐᲕ** ყურადღების ცენტრშია აჭარის მთიანეთში დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგები, მის გამო წამოჭრილი საჭირბოროტო პრობლემები. (**„პრობლემები ნყდება, პრობლემები რჩება“, „გზაში [illegible]“**).

● **ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲗᲕᲘᲡ „ᲙᲘᲜᲝᲡ“** [illegible] **ᲞᲘᲠᲘᲡ“** [illegible] **ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲘᲠᲘᲡ“** [illegible] **ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲞᲘᲢᲘᲔᲑᲘ** — [illegible] **ᲒᲣᲛᲘᲜᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲡᲝ** [illegible] **ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲞᲘᲢᲘᲔᲑᲘ** — **ᲡᲐᲤᲔᲑᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲘᲜᲓᲠᲝᲠᲗᲖᲔ, ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲡᲐ** და **ᲛᲐᲗ ᲛᲘᲛᲓᲐ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ**. **ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲨᲔᲤᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲡ** მოითხოვს; **რაც** მთავარია, მან **ყველა უნდა ჩაფიქროს — როგორც ფეხბურთელები** და **მათი ხელმძღვანელები**, ისე **თითოეული ჩვენთაგანი — მაყურებელ-გულშემატკივრები** (**„კითხვა პასუხს ითხოვს“**).

ᲒᲕ-4 ᲒᲒ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1989 ᲬᲚᲘᲡ 22 მაისს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები.

ამ საკითხებზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმზე გამოვიდნენ: გ. პ. ბოგომიაკოვი — სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ა. მანაენკოვი — სკკპ ლიპეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. პ. პოგრებნიაკი — უკრაინის კომპარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ს. ძასოხოვი — სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ნ. ელცინი — სსრ კავშირის სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი, ა. ა. ლოგუნოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ა.-რ. ხ. ვეზიროვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. პოტაპოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, კ. მახკამოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. მირონენკო — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. კარპოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, რ. ნ. ნიშანოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. კ. პოლოზკოვი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ვ. კოლბინი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა.-მ. კ. ბრაზაუსკასი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. გ. ბასისტოვი — სსრ კავშირის რადიომრეწველობის სამინისტროს რადიოხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი, ვ. მ. ფალინი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე, ა. ა. მალოფეევი — ბელორუსიის კომპარტიის მინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. მ. ზამიატინი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში, ი. გ. სამსონოვი — სკკპ ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. დ. პოხიტაილო — სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. გ. არუთინიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ა. ნაზარბაევი — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ა. მასოლი — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ა. პ. დუმაჩოვი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის წევრი, ი. ნ. პროკოპიევი — სკკპ იაკუტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ი. რიჟკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ა. კოპტიუგი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე, ს. ვ. კოლპაკოვი — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი, ე. პ. ველიხოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის დირექტორი, ვ. ს. ჩერნომირდინი — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრი, მ. ი. შჩადოვი — სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი, ი. ა. იზრაელი — სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. გ. ბოიკო — რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს ეკონომიკურ საკითხთა მრჩეველი.

პლენუმმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევისათვის რეკომენდაცია მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

დასასრულ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმზე წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის განცხადება (განცხადება ქვეყნდება პრესაში). პლენუმმა მიიღო ცნობად, რომ სსრ კავშირის პროკურატურა იხილავს ი. კ. ლიგაჩოვის განცხადებაში დასმულ საკითხებს, რომლის შედეგების შესახებ მოხსენდებათ.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1989 ᲬᲚᲘᲡ 12 მაისს ტელევიზიით სსრ კავშირის პროკურატურის გამომძიებელმა ნ. ვ. ივანოვმა განაცხადა, რომ მეკრთამეობის შესახებ სისხლის სამართლის საქმეში „გაიელვეს პოლიტბიუროს ახალმა წევრებმა“. ამ დროს დასახელებული იყო ჩემი გვარი. ეს განცხადება მიმაჩნია პროვოკაციად, ბოროტ მონაჭორად. იგი მე, როგორც მოქალაქეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს მაყენებს მძიმე დანაშაულში ეჭვის ჩრდილს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა მიზნით მოხდა ეს. ჩემი აზრით, ეს ითქვა პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობის დისკრედიტაციისათვის და პოლიტიკური კარიერის მიზნით. აგრეთვე იმისათვის, რომ თავი აარიდოს პასუხისმგებლობას სერიოზული ბრალდებებისათვის, რომლებიც ნ. ვ. ივანოვს აქვს წაყენებული მოქალაქეთა მრავალ წერილში საგამძიებო საქმეთა წარმოების დროს.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ამგვარი ცილისმწამებლური ბრალდებანი ეხება არა მარტო ჩემს ღირსებასა და წესიერებას, არამედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პატიოსნებასა და ავტორიტეტსაც.

გარდა ამისა, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო შემდეგს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ პროკურატურის ცალკეულ გამომძიებლებსა და პუბლიკაციათა სხვა ავტორებს მისცეს ფართო შესაძლებლობანი, რათა სახელი გაეტეხათ ადამიანებისათვის, მათ ჯერ კიდევ სასამართლომდე დაბრალეს დანაშაულობანი, რითაც შეცდომაში შეიყვანეს მილიონობით მოქალაქე, „საზოგადოებრივი აზრი განაწყეს იმათ წინააღმდეგ, ვინც გამოძიებაშიც კი არ ყოფილა.

როგორც ჩანს, ეს მეთოდები აღებულია ოცდაჩვიდმეტი წლიდან.

ვთხოვ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილოს ეს ფაქტები.

მინდა ხაზი გავუსვა სხვა რამესაც. პარტიამ კვლავაც უნდა გაანავითაროს დემოკრატია და საჯაროობა, კრიტიკა, მშრომელები ჩაებას საზოგადოების რეალურ მართვაში და, კანონებზე, საზოგადოებრიობაზე, შრომითს კოლექტივებზე დაყრდნობით ამოძრავოს ბიუროკრატიზმი, ბოროტმოქმედებანი, მეკრთამეობა, „განამტკიცოს დისციპლინა და მართლწესრიგი. ერთი სიტყვით, ყოველი ღონე იხმაროს, რათა თითოეული საბჭოთა ადამიანი შრომობდეს და ცხოვრობდეს თავისუფლად.

აგრეთვე გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენს პოლიტიკური კარიერიზმი, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. დარწმუნებული ვარ, რომ მას მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ.

პატივისცემით ი. ლიგაჩოვი.
1989 წლის 21 მაისი.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 20 მაისს გამართულ სხდომაზე განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ამა წლის 22 მაისს გაიმართა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტის, იქ გამართული ჩინეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებისა და ხუბრების, ჩინეთის საზოგადოებრიობისა და მშრომელთა წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგის.

უდიდესი კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის უმაღლესი დონის შეხვედრას ზღვრული მნიშვნელობა აქვს. იგი წერტილს უსვამს წარსულს და იწყებს ახალ ეტაპს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში. სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრა ნიშნავს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ნორმალიზაციას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის აღდგენას.

შეხვედრის დიდმნიშვნელოვანი შედეგი იყო სახელმწიფოთაშორისი და პარტიათაშორისი ურთიერთობის ახალი საფუძვლების შეთანხმება, რომლებიც ასახავს მხარეთა მზადყოფნას პატივი სცეს ერთმანეთის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას, გაითვალისწინონ ორი ქვეყნის როგორც თანასწორი პარტნორებისა და კეთილი მეზობლების ინტერესები და ყოველსაფრად განავითარონ მათი თანამშრომლობა. მიღწეულია ერთიანი გაგება, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია არ არის მიმართული გარეშე ქვეყნების წინააღმდეგ და არავითარ შეთხვევაში არ აყენებს ზიანს სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მ. ს. გორბაჩოვის ყოფნამ ცხადყო, რომ, ათწლეულების მანძილზე გაუცხოობის მიუხედავად, ორი ქვეყნის ხალხებმა შეინარჩუნეს ერთმანეთისადმი მეგობრობის, სიმპათიებისა და უდიდესი პატივისცემის ტრადიციული გრძნობები.

პეკინის მოლაპარაკებამ გვიჩვენა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში წინა პლანზე დგება სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ურთიერთობების არსებითი გაფართოების, თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმების დანერგვის ამოცანები, რომლებსაც თავად ცხოვრება გვიკარნახებს. დაუშრეტელ შესაძლებლობებს შეიცავს სულიერ სფეროში საბჭოთა და ჩინელ ხალხებს შორის გაცვლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საჭიროდ მიაჩნია, რომ შესაბამისმა საბჭოთა უწყებებმა და ორგანიზაციებმა განიხილონ შეხვედრაზე მიღწეულ მორიგებათა რეალიზაცია, როგორც თავიანთი საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულება.

აღინიშნა ორივე მხარის იმ შეთანხმების დიდი მნიშვნელობა, რომ განახორციელონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრის რაიონში შეიარაღებული ძალების მინიმალურ დონემდე შემცირების ღონისძიებანი, სამართლიანად და რაციონალურად გადაწყვეტონ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სასაზღვრო საკითხები ერთდროულად საზღვრის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში.

გამოითქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს არა მარტო სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობაზე, არამედ საერთოდ აზიაწყნარი ოკეანის რეგიონსა და მსოფლიოში შექმნილ ვითარებაზეც, რომ იგი ორგანულად ერწყმის მსოფლიო განვითარების ახლანდელ ტენდენციებს და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სარბიელზე გადასვლას კონფრონტაციიდან სახელმწიფოთა თანამოქმედებაზე, ნდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაზე.

სხდომაზე განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. ბეიკერთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრებისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკების შედეგები. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მთელი კომპლექსისა და აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გამო აზრთა საფუძვლიანი გაზიარება საშუალებას იძლევა გააქტიურდეს განიარაღების შესახებ მოლაპარაკებათა, მსოფლიოში სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პროცესი.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს საუბრის დროს წამოყენებულ დიდმნიშვნელოვან საბჭოთა ინიციატივებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მთავარ სფეროში — შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების სფეროში. განსაკუთრებით აღინიშნა იმ კონკრეტულ წინადადებათა მნიშვნელობა, რომლებიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა ვენის მოლაპარაკებაზე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების თაობაზე.

განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ტაქტიკური ბირთვული იარაღის პრობლემა, რომლის გადაჭრაზე უშუალოდ არის დამოკიდებული სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური ვითარება არა მარტო ევროპაში, არამედ საერთოდ მსოფლიოში. ამერიკის შეეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტის დროს გამოცხადებული საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ვარშავის ხელშეკრულების სამოკავშირეო ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგებული ტაქტიკური ბირთვული იარაღის 500 ერთეულით შემცირების შესახებ სერიოზული ნაბიჯია ევროპის კონტინენტზე ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შექმნისა და განმტკიცების გზაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიალოგის ამ მიმართულებისადმი სსრ კავშირის კონსტრუქციული მიდგომა მიზნად ისახავს გადამწყვეტი პოზიციის მიღწევას იმ მხრივ, რომ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ნატოს ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს მინიმუმთ მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი პარამეტრები, დამთავრდეს მუშაობა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების შესახებ ხელშეკრულებაზე ისეთ პირობებში, რომ დაიცვან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულება იმ სახით, რა სახითაც ხელმოწერილი იყო 1972 წელს.

შეხვედრაზე რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგების პრობლემის საფუძველიანმა განხილვამ ცხადყო, რომ, თუმცა კვლავ განსხვავებანია მიდგომებსა და შეფასებებში, არის რეალური შესაძლებლობანი, რათა პრაქტიკულად თანაამოქმედონ სსრ კავშირმა და ამერიკის „შეერთებულმა შტატებმა პოლიტიკური საშუალებებით სამართლიან გადაწყვეტათა გამონახვისათვის. აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკების დროს ტრანსეროვნული პრობლემატიკის, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის სხვადასხვაგვარ ასპექტებზე აზრთა გაზიარების, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ყველა დონის შედეგიანი პოლიტიკური დიალოგის განვითარების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ მიღწეულ გაგებათა საგნობრივ განხილვას.

მოისმინეს ინფორმაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ე. ა. შევარდნაძის სამუშაო ვიზიტის, ფედერალურ კანცლერთან ჰ. კოლთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰ. -დ. გენშერთან მისი საუბრების შედეგების შესახებ, რომელთა დროს მთავარი ყურადღება დაეთმო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მ. ს. გორბაჩოვის მომავალი ოფიციალური ვიზიტის მომზადების საკითხებს. გამოითქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის შეხვედრა აღსავსე იქნება მნიშვნელოვანი შინაარსით, ხელს შეუწყობს პოზიტიურ ტენდენციათა დამკვიდრებას ორი ქვეყნის ურთიერთობაში. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ასეთი განვითარება არსებითი წვლილი იქნებოდა მშვიდობისა და თანამშრომლობის ახალი ევროპის მშენებლობაში.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 20 მაისს გამართულ სხდომაზე განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ამა წლის 22 მაისს გაიმართა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტის, იქ გამართული ჩინეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებისა და ხუბრების, ჩინეთის საზოგადოებრიობისა და მშრომელთა წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები.

უდიდესი კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის უმაღლესი დონის შეხვედრას ზღვრული მნიშვნელობა აქვს. იგი წერტილს უსვამს წარსულს და იწყებს ახალ ეტაპს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში. სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობაზე, არამედ საერთოდ აზიაწყნარი ოკეანის რეგიონსა და მსოფლიოში შექმნილ ვითარებაზეც, რომ იგი ორგანულად ერწყმის მსოფლიო განვითარების ახლანდელ ტენდენციებს და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სარბიელზე გადასვლას კონფრონტაციიდან სახელმწიფოთა თანამოქმედებაზე, ნდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაზე.

სხდომაზე განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. ბეიკერთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრებისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკების შედეგები. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მთელი კომპლექსისა და აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გამო აზრთა საფუძვლიანი გაზიარება საშუალებას იძლევა გააქტიურდეს განიარაღების შესახებ მოლაპარაკებათა, მსოფლიოში სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პროცესი.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს საუბრის დროს წამოყენებულ დიდმნიშვნელოვან საბჭოთა ინიციატივებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მთავარ სფეროში — შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების სფეროში. განსაკუთრებით აღინიშნა იმ კონკრეტულ წინადადებათა მნიშვნელობა, რომლებიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა ვენის მოლაპარაკებაზე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების თაობაზე.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲓᲘᲓᲘ ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 21 მაისი. („პრავდის“ სპეც. კორ.). საქართველო ემზადება დიდი თარიღის — 26 მაისის, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის საზეიმოდ. 1918 წლის ამ დღეს მოხდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საქართველოსა და რუსეთში XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის ეროვნულ-განთავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის ძლავრი აღმავლობის შედეგი იყო. ამრიგად, ქართველი ხალხი გათავისუფლდა პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრისაგან.

ამ ისტორიული თარიღის გამოზეიმება მხოლოდ გარდაქმნის, საჯაროობის, ახალი აზროვნების, წარსულის კრიტიკული გააზრებისა და აღქმის, ისტორიული სამართლის, სამართლიანობის აღდგენის საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების პროექტი, რომელიც მოიწონა XIX პარტიულმა კონფერენციამ და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა.

26 მაისის აღსანიშნავად აქტიურად იქნება გამოყენებული ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში გამოქვეყნდება და გადაეცემა ამ მოვლენის ისტორიული ასპექტების გააზრებისადმი მიძღვნილი მასალები. მოეწყობა „მრგვალი მაგიდები“, დისკუსიები ცნობილი მეცნიერების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით გაიმართება სხდომა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და პარტიის ისტორიის ინსტიტუტში კი — სამეცნიერო სესიები. თბილისსა და მთელს რესპუბლიკაში მოეწყობა ღონისძიებანი ამ თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ჩვენი ხალხის სახელმწიფოებრიობის ორგანიზაციის გამოცდილებასთან, ტრადიციებთან, ისტორიასთან, ყოფა-ცხოვრებასთან, უთუოდ უნდა ჩავაყენოთ თანამედროვეობის სამსახურში, შეუზღალავად გადავცეთ ჩვენს მომავალ თაობებს. ამაშიც უნდა გამოიხატოს გარდაქმნის, სოციალისტური პლურალიზმის ჭეშმარიტი არსი. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ძირითადი ეტაპების შესაფერისი სიმბოლოები: ისტორიულ-ეროვნული დროშები, გერბები, ტანსაცმელი, მუსიკა. მიღებულია გადაწყვეტილება, შეიქმნას ავტორიტეტული კომისია, რომელიც თავს მოუყრის ეროვნულ სიმბოლოებთან დაკავშირებულ ყველა მოსაზრებას და შეიმუშავებს მეცნიეურულად დასაბუთებულ კონკრეტულ წინადადებებს.

26 მაისი — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე ფართოდ უნდა აღინიშნოს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, როგორც განსაკუთრებული მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღეც და მოსკოვში მუშაობას შეუდგება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა. უკვე დაიწყო დეპუტატების რეგისტრაცია, 25 მაისისათვის კი იქ თავს მოიყრიან რჩეულთა შორის ნამდვილად რჩეულები, ჩვენი საუკეთესო ადამიანები. მათ შორის იქნება წალენჯიხის რაის აგროსამრეწველო კომბინატის მექანიზატორი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ვახტანგ ძიძარია. უწინარეს ყოვლისა ყრილობა ყურადღებას დაუთმობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მუშაობის სრულყოფის, ნაკლოვანებათა დაძლევის აქტუალურ საკითხებს. ბუნებრივია, ამ მხრივ ბევრი სათქმელი ექნება ჩვენს სახელოვან მექანიზატორსაც, რომელმაც საქმით დაამტკიცა, რომ ხელეწიფება იმსჯელოს ჭვეყნის სვე-ბედზე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗ: ვახტანგ ძიძარია.

Ა. ᲫᲣᲤᲣᲜᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲐ

ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲓᲐ მ. ს. გორბაჩოვის რჩეული სიტყვებისა და სტატიების მეექვსე ტომი. იგი მოიცავს დოკუმენტებს, რომლებიც ეხება 1988 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდს და ასახავს იმ უმთავრესი საგარეო და საშინაო-პოლიტიკური პრობლემების კომპლექსს, ჩვენი ქვეყანა რომ წყვეტს გარდაქმნის მეორე ეტაპზე — საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა პრაქტიკული ცვლილებების ეტაპზე.

ტომის მასალებში თვალსაჩინო ადგილი უკავია იმ პოლიტიკური და იდეოლოგიური სიტუაციის ანალიზს, რომელშიც მოქმედებს პარტია, იბრძვის რა საზოგადოების გაჯანსაღებისათვის. ტომში ცენტრალური ადგილი ეთმობა მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას XIX საკავშირო პ

გავაჯანსაღოთ ვითარება მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში

19 მაისს ნ. ი. რიჟკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხთა კომისიის სხდომა. განიხილეს ამ ბოლო დროს მთიან ყარაბაღში დამბის ირგვლივ შექმნილი ნგდოვარეობა. ინფორმაციებით ამ საკითხზე გამოვიდნენ ბითანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. ვოლსკი, აგრეთვე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები ა.-რ. ხ. ვეზიროვი და ს. გ. არუთინიანი.

კომისიამ აღნიშნა, რომ „აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში მმართველობის განსაკუთრებული ფორმის შემოღების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 12 იანვრის ბრძანებულებამ შექმნა ობიექტური წანამძღვრები მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაჭრისათვის.

განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტის მუშაობის პირველ თვეებში გაძლიერდა ავტონომიური ოლქის უფლებათა რეალიზაცია, თანაბარმანძეგრულად ხორციელდებოდა ორგანიზაციული და საკადრო ღონისძიებები, რომელთა მიზანია ოლქის დაბოუკიდებლობის გაფართოება და რეგიონალური საეკონომო ანგარიშის პრინციპებზე გადაყვანა, კულტურისა და განათლების სფეროში სომხეთთან მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომეხი მოსახლეობის მრავალფეროვანი კონტაქტების სტიმულირება, ამასთან, სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული აზერბაიჯანელი მოსახლეობის ინტერესებიც.

ქვეყანაში შექმნილ რთულ ეკონომიკურ პირობებში ავტონომიურ ოლქს დამატებით გამოეყო მნიშვნელოვანი სახსრები. 1987 წელთან შედარებით ორჯერ და მეტად და 1988 წელთან შედარებით ოთხჯერ გაიზარდა კაპიტალური დაბანდებები. მიმდინარე წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რეზერვიდან მთიანი ყარაბაღის ავტონომიურმა ოლქმა მიიღო მნიშვნელოვანი რაოდენობის მარცვლეული კომბინირებული საკვების გამოსამუშავებლად, ხის სახლები, სამშენებლო-სატრანსპორტო ტექნიკა. დამატებითი რესურსები გამოყვეს აგრეთვე სსრ კავშირის სახელმძღვანელობამ და ფინანსთა სამინისტრომ. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ არსებითად შეიცვალა ავტონომიური ოლქის საბაზრო ფონდები, რამაც საშუალება შექმნა, თითქმის 20 პროცენტით გაეფართოებინათ მოსახლეობისათვის საჭირო მოყიდვა. იანვარ-აპრილში რაშდენადმე გაიზარდა საბრეწველო პროდუქციის წარმოება, მეოთხედით გაიზარდა ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ათვისება. სახელმწიფო სახსრების ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 6,7 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მაგრამ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების პოზიტიური ტენდენციები მაისის დამდეგს შეწყვიტა გაფიცვამ, რომლებმაც ჩაბაული აღმოჩნდნენ მოსახლეობის გარკვეული ფენები. მისმა მონაწილეებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნები, - რომლებიც აწონ-დაწონილ განხილვას იმსახურებდა. ამის ნაცვლად გაფიცვის ორგანიზატორებმა აირჩიეს ხელისუფლების ორგანოებთან, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტთან კონფლიქტიკის გზა. სიტუაცია სწრაფად უარესდებოდა. საქმე ეროვნებათაშორის შეტაკებამდე მივიდა. ამასთან დაკავშირებით, მოქალაქეთა უშიშროების მიზნით საჭირო გახდა დამატებითი ღონისძიებანი კომენდანტის რეჟიმის გასაძლიერებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ აღნიშნა, რომ გაფიცვის, როგორც სახელმწიფო და პარტიული ორგანოებზე ზეგავლენის ფორმის გზა ყარაბაღის საკითხის გადაჭრაში სრულიად უპირსპირეტიცია, დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობის ძირითულ ინტერესებს, ქმნის ანეთიერებასაშიშ ატმოსფეროს, აღვივებს უნდობლობასა და არაკეთილმოსურნეობას ეროვნებათაშორის ურთიერთობაში.

ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა ძმური სოლიდარობისა და ურთიერთგაგების ფონზე, რაც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა სომხეთში მიწისძვრის ტრაგიკული შედეგების ლიკვიდაციის დროს, მთიანი ყარაბაღის ამბები ნიშნავს ეროვნებათაშორის შუღლის ყარესი. დროებისაკენ შემობრუნებას. ეს არ უნდა დაეშვათ. სომხეთში თუ მთიან ყარაბაღში სომეხი ხალხის ცხოველუნარიანი მომავლის რწმენა განამტკიცა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მიერ გამოწვდილმა მეგობრობის ხელმა. ნუთუ ახლა სურთ მოიშორონ ეს ხელი, როცა ბრმად ჰყვებიან ემოციებს და კარგავენ გონებას?

წარსულის რა დანაშრევები და შეცდომებიც უნდა ზემოქმედდეს ადამიანებზე, მთიანი ყარაბაღის პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია ძალადობის გზით. ასეთი გადაწყვეტის ცდებს აუცილებლად მოჰყვებოდა ტრაგიკული შედეგები. გამოსავალი შეიძლება გამონახოს მხოლოდ ურთიერთგაგებისა და გონივრული კომპრომისების გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტმა თანამიმდევრულად და მტკიცედ შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა ოლქში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის, მართლწესრიგისა და მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფის, საწარმოთა შეუფერხებელი მუშაობის ორგანიზაციის, მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში. მიზანშეწონილად არის მიჩნეული, გაფართოვდეს განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტის უფლებამოსილებანი სოციალურ-კულტურულ-მეურნეობის განვითარების ამოცანათა უფრო ეფექტიანი გადაწყვეტის, ინტერნაციონალისტურ საფუძველზე მშრომელთა კონსოლიდაციის ინტერესებისათვის.

ჩვენ თქმა უნდა, ეს არ ხსნის პასუხისმგებლობას აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების (იქნებ ალბათ კომიტეტებს მთიანი ყარაბაღის ირგვლივ პოლიტიკური და იდეოლოგიური აბმოსფეროს გაჯანსაღებისათვის. მათი უპირველესი ამოცანაა მოგვიანო ირონთანეოს შორის მშიერო სამუშაო კონტაქტები. ეზრუნველყონ თანამშრომლობა ლაბორიული საკითხების გადაჭრაში და ერთიანი თრონტით შეუტიონ გარიგაქმნის საწინააღმდეგო ძალიან, რომლებიც ძირს უთხრიან საბჭოთა რესპუბლიკების ავრშირს. ყოველივე ეგარ მოქმედებას, რომლებიც ეროვნულად ოწვევს ეროვნებათაშორის უთანხმოებას.

სკკპ (ენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ საგანგებო და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მიაპყრო იმის, რომ ოპერატიულად უნდა განიხილონ მათ წინაშე განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტის მიერ წამოყენებული საკითხები. აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ არსებითად გააქტიურონ თავიანთი მოქმედება იმ მოქალაქეთა პრობლემის გადასაჭრელად, რომლებიც იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილები და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. უნდა გამოირიცხოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებათა დარღვევები, ვინც გინდა ცდილობდეს ამას.

ახლანდელ ვითარებაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ორივე რესპუბლიკისა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებმაც არ უნდა დაუშვან არავითარი ნაციონალისტური წამქეზებლური გამოვლინებანი, ახსოვდეთ, რომ მათი მთავარი ამოცანაა ყოველნაირად შეუწყონ ხელი ვითარების გაჯანსაღებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ავტონომიური ოლქის ყველა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ძალისხმევა ახლა უნდა მოხმარდეს ცხოვრების ნორმალური რიტმის აღდგენის, ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს წინ წავწიოთ გარდაქმნა მთელი ქვეყნის, მთელი საბჭოთა საზოგადოების ინტერესებისათვის.

(საკდესი).

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

● ᲙᲝᲛᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡ „მუხრანის ველმა" თავიდან ცუდი სახელი როდი დაიმკვიდრა. პრესაში არაერთი საქებარი სიტყვა დაბეჭდილა მუხრანელ ენთუზიასტებზე, რომლებმაც პირველებმა გაპკვეთეს კოოპერატიული მოძრაობის ბინდბუნდი. ახლა კი მასზე სუსხიანი სტრიქონების დაწერა გვიხდება.

ᲩᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ?

ᲕᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ზარი აწკრიალდა და უცნობმა ყოფილში ჩაგვძახა: „ახლაც აქებთ და ადიდებთ „მუხრანის ველს"? მიბრძანდით, ნახეთ. ვინ მუშაობს. იქ. საქართველოს გარედან „მთელი რაზმი ჩამოყვანეს. მეოცე საუკუნის ამ „მიგრაციამ" ჯერ ყვარელს გადაუარა, ახლა მუხრანადეც მოაწია.

დაუყოვნებლივ მივაშურეთ მუხრანს. გზაში ერთი ანი ბი გვეტრაალებდა თავში, ანონიმური მოქალაქე ნერეკ შემცდარი აღმოჩნდებოდეს-მეთქი. არ მინდოდა ამ ტრაგიკულ დღეებში ქართველ კაცს ასეთი მცდარი ნაბიჯი გადადგა.

მუხრანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ზურაბ ინაშვილმა ამ ამბისა არაფერი იცოდა, ისევე, როგორც საბჭოს სხვა მუშაკებმა. როგორც შევიტყეთ, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორიც თენეურ ხამხარეც მოვლენების მიღმა აღმოჩნდა. რა არის ეს? სოფლის ბედი განდეს, შენ კი არ იცი, იქ რა ხდება.

„სტუმრები" (10 კაცი, დანარჩენებს ელოდნენ ზოგს ბაშვებიც ჩამოუყვანია) უკვე სამი დღის ჩამოსულნი იყვნენ და პიმიდერის ჩითილებს რგავდნენ. კოოპერატივის შესავლელში ზვიად ტატიშვილმა არხეინად მოგვიგო, რა მოხდა ისეთი, რამდენიმე თვეს წამიმუშავებენ და უკანვე წავალენო.

მერედა, ვიცით რომ წავალენ? უცხო ჯილგისა და ტომის რამდენი ჩამოსულა საქართველოში წლების მანძილზე და მერე აქედან ფეხი არავის მოუცვლია. ასე იყო გურიაში, კახეთში, ქართლში... ბევრი სტუმარი მასპინძელი გაგვიხდა. რა გარანტიაა, რომ ამ „ახლადგამომცხვარ" მიწათმოქმედთაც არ მოხიბლავს მომჯადოებელი მუხრანის ველი და არ შეეცდება აქ დარჩენას? ამის მაგალითი მუხრანელებს ხომ აქვთ.

იყო სოფელში ერთი ბედოვლათი თავმჯდომარე, ვინმე მაშელაშვილი. მუშახელის სმენირის მოტივით ორი აზერბაიჯანელი მოქალაქე მიცხოველეობის ფერმაში მიიწვია, ნაკვეთიც გამოუყო და დასახლდა. მერე, იცით, რა მოხდა? იმ ორმა ოჯახმა სწრაფად იბარტყა და ახლა ოცდაათამდეა. ძლიერნი, შვილმოყვარენი. მაშინ ხმა ვერავინ ამოიღო, აქოდა, ნაციონალიზმი არ დაგვწამონო. ახლა ყველა მწვავედ განიცდის ამ ამბავს, მაგრამ გვიანღაა თითზე კბენანი. მამულაშვილის მეგობრენიც გრძნობენ თანასოლოტაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც კანონი სასტიკად კრძალავს. არც საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ დამაკმაყოფილებელი. ერთ მომცრო ოთახში, რომელიც წინათ პირუტყვის სადგომი იყო, საწოლები ერთმანეთზეა მიწყობილი, ჭირს სუნთქვა.

მუხრანში მუშახელის მოწვევის არავითარი საჭიროება არ არის. სოფელში ათასობით კაცი ცხოვრობს, მათი მხოლოდ მცირე ნაწილია დასაქმებული.

რატომ მიმართეს ტატიშვილებმა ამ გაუმართლებელ გზას? ნთქვამია, საბანი როგორც გაგწვლეს, ფეხი ისე გაჭიმეო. ესეც უნდა ეფიქრათ ტატიშვილებს. მათ იჯარით 100 ჰექტარი მიწა მოითხოვეს და კიდეც მიიღეს. მერე ვეღარ შეძლეს ამდენის დამუშავება და შარშან დიდი ფართობი მოაცდინეს. დიდძალი მოსავალი დაგვან პარტნიორები ვერ შეთანხმდნენ. ტატიშვილები მოითხოვენ, საგემო მოსავლის საფასურს ფულად გადაგიხდითო. მეურნეობა კი, ცხადია, ამას ვერ დათანხმდება. ეს მიწის გაყიდვაა, კანონის საწინააღმდეგო მოქმედებაა. მეურნეობამ ფული კი არა, პროდუქცია უნდა მიიღოს ნატურით, არადა, ფართობების გადაცემა მეურნეობას „ზევიდან" დაავალეს ადმინისტრაციი ულმბრძანებლური წესით. კოოპერატორებიც გათამამდნენ და ცდილობენ ყოველივე თავის ნებით წარმართონ, კანონს არ დაგიდევენ. ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს.

რაც შეეხება რესპუბლიკის გარედან მუშახელის მოწვევასა და შემოყვანას, ეს საგანგებო შემთხვევა მაინცდამაინც არ გაკვირვებით რაიონში. მუშახელის შემოყვანა საზოგადოებრივ მეურნეობებს, განსაკუთრებით მებოსტნეობის მიმართულებასა, თითქმის დაკანონებული ფონიათ. მას ნივრისა და ხახვის მოსაყვანად ვიწვევეთო — გვითხრეს მცხეთაში, რადგან ჩვენ ხალის ამ კულტურაზე [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲭᲠᲐᲧᲖᲔ

ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲗᲐᲠᲗᲛᲔᲑᲘ წლის წინათ, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ამით ჩვენმა ხალხმა აღიდგინა 117 წლის წინათ დაკარგული დამოუკიდებლობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ეს არის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მრავალტანჯული ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. სწორედ ამიტომ რესპუბლიკის მშრომელთა აზრის გათვალისწინებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადწყვეტილებით 26 მაისი აღინიშნება, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე. ვიწყებთ მასალების ციკლის ბეჭდვას, რომელიც მკითხველს მოუთხრობს, თუ რა ვითარებაში დაკარგა საქართველომ დამოუკიდებლობა, როგორი იბრძოდა ჩვენი ხალხი თავისუფლებისათვის, როგორ მიაღწია დასახულ მიზანს, რა პოლიტიკური ვითარება შეიქმნა ჩვენში ამის შემდეგ. პუბლიკაციათა ავტორები არიან ცნობილი მკვლევარი მეცნიერები ზურაბ ცქიტიშვილი, ლეონე ჩიქოვანი, გრიგოლ ყვანია, დერენში გოგოლაძე და სხვები. როგორც მკითხველიც შეიტყობს, ჩვენ არ გავურბივართ აზრთა სხვადასხვაობას, მოსაზრებათა ალტერნატიურობას და პლურალიზმს, რაც ეგრეთ წოდებული „თეორიული ლაქების“ შეკვეთისა და ისტორიული სიმართლის აღდგენის წინაპირობაა და სავსებით ბუნებრივად და აუცილებლადაც გვეხებება დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში.

XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ უკანასკნელი ოცწლეულის საქართველოს შინაური აშლილობას, რასაც ერთვოდა მეზობელი აგრესიული მაჰმადიანური ქვეყნების განუწყვეტელი თავდასხმები და ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურების საფრთხე, უნდა დაპირისპირებოდა რაიმე გადამჭრელი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობდა გარეშე მტრული ძალების ალაგმვას. ერეკლე მეორეს და ქართველი ხაზგადებების პროგრესულ წარმომადგენლებს ერთ ასეთ ნაბიჯად რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური დახმარება მიაჩნდათ. ისინი ობიექტურად აფასებდნენ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციას. ამიერკავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ სახელმწიფოთა როლსა და მნიშვნელობას საქართველოს მომავალი განვითარებისათვის. მათ სწამდათ, რომ ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფო, რომელიც თავისი სოციალურ ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილებით გაცილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ოსმალეთი და ირანი, ხელს შეუწყობდა საქართველოს გაძლიერებას, დაიცავდა მის საშინაო დამოუკიდებლობას და ირან-ოსმალეთის აგრესორებს ჩამოაშორებდა. ამიერკავკასიისაკენ დიდი ხანი იყო, რაც მოლტკოდა რუსეთიც. მოხდა საქართველოსა და რუსეთის ინტერესების დამთხვევა, რის შედეგადაც 1783 წლის 24 ივლისს ციხე-ქალაქ გეორგიევსკში დაიდო მფარველობითი, მეგობრული ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის. „არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა“ (ნ. ბერძენიშვილი). ტრაქტატი ორმხრივი ვალდებულების გამომხატველი აქტი იყო, მასში მოცემული იყო, როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის უფლება-ვალდებულებანი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მეფის რუსეთს თავისი ინტერესები გააჩნდა, საქართველოს კი თავისი, რომელნიც ხშირად ერთმანეთს არ ემთხვეოდა. რუსეთის იმპერია საქართველოსთან დადებული შეთანხმებიდან იმ მუხლებს ასრულებდა, რომელიც მისთვის იყო ხელსაყრელი. ამ-ტომ მფარველობითმა ტრაქტატმა ნაწილობრივ ქართველ პოლიტიკოსებს იმედი არ გაუმართლა, მაგრამ იმედგაცრუება მათ არ აუხსნია, როგორც შედეგი რუსეთთან დაახლოებისა, ისინი მაინც რუსეთთან დაახლოების გზას არჩევდნენ.

საქართველოს მეზობელმა მაჰმადიანურმა ქვეყნებმა ამ ტრაქტატში საკუთარი ქვეყნისთვის ჩავარდნილ ერთგულ მოკავშირეს მფარველმა ვეღარ უშველა, თუმცა განაწყენებული მეფე კვლავ არ წყვეტდა წერილების გაგზავნას „კავკასიის ხაზის“ მთავარსარდლის პოტიომკინის, რუსეთის სხვა გავლენიანი პირების მისამართით.

1786 წლის 6 აგვისტოს დათარიღებულ წერილში ერეკლე წერდა იმავე პოტიომკინს: „უკეშმარიტესად გამოეცხადოსთ დღეს რომ საქართველოს საქმე უჭირს დიდი შაჰმაზ რომ ეყო შემდგომად მისა ასე საქმე აღარ გასჭირდება... ამყამად გვეჭირება საქმე და მოხმარება, ამას ნუ ინებებთ, რომ პეტერბურგიდან კიდევ ამბავი მოელოდნოთ... და ნურც ათქმევინებთ ვისამე ამას, რომ დიდის ეკატერინეს ყამსა და ჰელმწიფობაში რუსეთის შეერთების მიზეზით მიუშველობლობით დაიქცა საქართველო“. ამავე წერილში ერეკლე მტკიცედ მოითხოვდა სარდლისაგან, თუ როდის მოგვივა დახმარება და რა ძალისაო. აქვე ერეკლე დასძენდა, რომ „როდესაც სნეულია კაცი, მაშინ დაიკვნესებს, ესეებიე სულ ჩემს ნატურაზედ ჩანს“. 1787 წლის 7 ივლისს

ᲒᲐᲠᲘᲭᲠᲐᲧᲖᲔ

დათარიღებული წერილით ერეკლე კვლავ მტკიცედ თხოვს პოტიომკინს, რომ „...ჩვენ ის გვარგებს, რომ ორი პოლკი ყაზახი ორ თვეს და ნახევარს გვთხოოო და მას უკან წაიყვანოთ... და ის ზარბაზნებიცა და ამისი ჯაბახანა (ერეკლეს მხედველობაში აქვს ტრაქტატის ხელმოწერასთან დაკავშირებით საქართველოსადმი ეკატერინე II ნაჩუქარი ზარბაზნები. ეს „ნაჩუქარი“ ზარბაზნები საქართველომ ვერ მიიღო. — ზ. ც.) თავისი გაწყობილებით და წამლით უნდა გვიბძოთო ამისაგან ნუღარ დაგვიგვიანებთ“.

მაშინდელი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს იესე ბარათაშვილი თავის ისტორიაში: „აღდგნენ ყოვლის მხრით მაჰმადიანი ქრისტიანთა ამოსაწყვეტად, — შეთქმნენ: მთლად დადესტანი, ხონთქარი დაფარვით ხაზინასაც ბეჭრდება და ჯარსაც... დიდი განსაცდელი გვიძს“. 1787 წლის 22 სექტემბერს ერეკლე II ფერდმარშალ გ. ა. პოტიომკინს შეახსენებდა, რომ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისაგან გ. ბეგეიევიანისაგან წერილი მივიღე, სადაც მატყობინებს, რომ ჩემს თხოვნას დადებითი რეზოლუცია ეღირსა და გთხოვთ ჯარის გამოგზავნას ნუღარ დაიყოვნებთო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროს რუსეთს არ შეეძლო საქართველოში დამატებით ჯარის კონტინგენტის გაგზავნა, რადგან რუსთა კორპუსები ამ დროს დაკავებული იყვნენ ჩრდილოკავკასიის ამბებით. ამასობაში რუსეთ-თურქეთის ახალი ომიც დაიწყო (1787-1791 წ. წ.) და დახმარების ნაცვლად, რუსეთის მთავრობამ რუსთა ის ორი ბატალიონიც კი გაიწვია, რომელნიც ტრაქტატის ძალით საქართველოში მუდმივად უნდა ყოფილიყო. ერეკლემ თავისი დიდი გამჭრიახობით და

საქართველოში აღარ იმყოფებოდა, თუმცა ტრაქტატი ძალაში რჩებოდა. ამიტომ ერეკლემ 1794 წლის იანვარში კვლავ გაგზავნა თავისი ელჩი გ. ბეგეიევიე პეტერბურგის სამპერატორო კარზე. ერეკლე II რუსეთის მთავრობას ტრაქტატის თანახმად ჯარის გამოგზავნას თხოვდა კარსმომდგარი საშიშროების აღსაკვეთად. ერეკლემ სარწმუნო ცნობებით იცოდა, რომ სპარსეთის შაჰი აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს აოხრებისათვის ემზადებოდა. საქართველოს სამეფო კარმა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პეტერბურგში რუსეთის სამპერატორო კარზე ყველა ზომები მიიღეს, რომ საქართველოს გაწეოდა დროული დახმარება სამხედრო ძალით, მაგრამ მეფის კარზე გადაწყვეტილება საქართველოსადმი სამხედრო დახმარების შესახებ დაგვიანებით მიიღეს, სახელდობრ 1795 წლის 4 სექტემბერს. აღა-მაჰმად-ხანმა კი 1795 წლის 11 სექტემბერს, მიუხედავად მცირერიცხოვანი ქართველების თავგანწირული წინააღმდეგობისა, თბილისი აიღო და აოხრა.

„1795 წლის აქტი (კრწანისის ომი) საქართველოს სახელმწიფოს ღრმა კრიზისის მაჩვენებელი იყო. მას საბოლოოდ გაუტყდა სახელი“ (ნ. ბერძენიშვილი). ევროპის პოლიტიკოსები ულოცავდნენ აღა-მაჰმად-ხანს გმირობისა და ბედადღნენ რა მასში რუსეთის დამარცხებას, თურქეთი ზეიმობდა. რუსეთის სამეფო კარზე მიხვდნენ თავიანთ შეცდომებს და 1796 წელს ვ. ზუბოვის სარდლობით გამოგზავნეს ჯარი სპარსეთის წინააღმდეგ. 1796 წელს რუსმა ჯარმა ქართულ კორპუსთან ერთად განჯის მხარე დალაშქრა. რა თქმა უნდა, სპარსეთში ლაშქრობის მთავარი მიზეზი თბილისის 1795 წ. აოხრება არ ყოფილა. იგი მხოლოდ ერთ-ერთ მიზეზთა-

საქართველოში ამ-ტომ ერეკლე II-ს, ეროვნულ კულტურასა და სახელმწიფოებრიობას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა. არა ერთი ეროვნული ძეგლი დაიღუპა ამ შემოსევისას.

1796 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II, ტახტზე ავიდა მისი შვილი პავლე I, რომელმაც მოშალა სპარსეთის ლაშქრობა და რუსეთის ჯარი უკან გამოიწვია. ამ ამბავმა უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქართლ-კახეთის სამეფო. აღა-მაჰმად-ხანმა რუსთა ჯარის გაბრუნება თავის გამარჯვებად ჩათვალა და 1797 წ. კვლავ აპირებდა საქართველოს აოხრებას. 1797 წ. ივნისის დასაწყისში გამოგზავნილ ფირმანში იგი მოითხოვდა რუსეთთან კავშირის გაწყვეტას. გაზაფხულზე მან აიღო ყარაბაღი და საქართველოს მოსაოხრებლად ემზადებოდა, მაგრამ მკვლელის დანამ მას სიცოცხლე მოუსპო 1797 წ. 5 ივნისს.

მალე, 1798 წლის 11 იანვარს, 78 წლის ასაკში, თელავში გარდაიცვალა ერეკლე მეორე. ერეკლემ მთელი თავის შეგნებული სიცოცხლე საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შეალია. იგი ხედავდა, რომ შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ქვეყნის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობას. იგი შორს იხედებოდა და საქმესაც ამის მიხედვით აკეთებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გაიმართა პოლიტიკური ჭიდილი. ტახტზე ავიდა ერეკლეს მემკვიდრე გიორგი XII. ამ დროს იგი უკვე ავადმყოფი იყო. მართალია, გიორგი XII გამეფდა, მაგრამ მისი ძმები ჩაიკენენ საუფლისწულოებში და მის წინააღმდეგ ინტრიგებს აწყობდნენ. ავადმყოფ მეფეს არ შესწევდა გაბედული მოქმედების უნარი. გიორგი XII თხოვნით 1799 წლის 18 აპრილს იმპერატორ პავლე I დავით გიორგის ძე ტახტის მემკვიდრედ დაამტკიცა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა შინაური პოლიტიკური ვითარება ტახტის მაძიებელ დავით და იულონ ბატონიშვილებს შორის. ამან, აიძულა გიორგი რუსეთის საიმპერატორო კარის წინაშე ახალ დათმობაზე წასულიყო. მისი დავალებით ელჩებმა (გ. ბეგეიევიმ, გ. ავალიშვილმა და ე. ფალავანდიშვილმა) იმპერატორ პავლე I წარუდგინეს ეგრეთ წოდებული „სათხოვარი პუნქტები“, რითაც შემდეგში ოსტატურად ისარგებლა ცარიზმმა. „ქართლ-კახეთის მესვეურები რუსეთისაგან მეტ დახმარებასა და მეტ ჯარის გამოგზავნას მოითხოვდნენ. მაგრამ ისინი სრულებით არ ფიქრობდნენ ხელის აღებას საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე თუ შეზღუდულ ავტონომიურ თვითმმართველობაზე“ (მ. დუმბაძე). ერთი კი ცხადია, გიორგი XII საქართველოს ბედს სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული წყვეტდა და

ამ დროს, რა თქმა უნდა, უნებლიეთ შეცდომის დაშვებაც შეიძლებოდა.

ავადმყოფი მეფის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა. ლოგიკურად ჩავარდნილი მეფე ვეღარ მართავდა სახელმწიფოს. გიორგი XII მოსალოდნელმა სიკვდილმა კიდევ უფრო გაამწვავა ვნებათა ღელვა, მოწინააღმდეგე პარტიათა შორის. ამას ადასტურებს დოკუმენტები, რომლებიც გიორგი XII სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშია დაწერილი. 1800 წლის დეკემბრის დამლევის ერთ წერილში დავით ბატონიშვილი კახეთში „თავის ძმას ბაგრატს წერდა: „ამილახვარი გაიქცა და იულონთან ბეღლის მივიდა, ორასი კაცი ჰყავს და სოფელ-სოფელ დაეთრევიან, რომ გეკითხა რა ვქნათ... თოფი ვესროლო თუ არა, როგორც ლეკს, ისთე თოფი ესროლე“. დავით ბატონიშვილი დღე-დღეზე მოელოდა მეფის ტიტულს, ამიტომ იგი თავის ბიძას იულონ ერეკლეს ძეს აუგად იხსენიებდა.

1800 წლის 28 დეკემბერს დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება ქვეყანაში. იულონმა ქართლში მის ერთგულებაზე ხალხის დფიცება დაიწყო. ზომები მიიღო დავით ბატონიშვილმა თავის მხრივაც. რუსეთის ჯარის სარდალს გენერალ ლაზარევს კი კარგა ხანია მიღებული ჰქონდა საიდუმლო მითითება, რომ არ დაეშვა დავით ბატონიშვილის მეფედ გამოცხადება. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ასეთი კრიზისული მდგომარეობა მზაკვრულად გამოიყენა ცარიზმმა. ჯერ პავლე პირველმა 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით, ხოლო შემდეგ ალექსანდრე პირველმა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო საბოლოოდ რუსეთის იმპერიას შეუერთა.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დაეცა არა მარტო, როგორც ქვეყნის შინაური კრიზისის მსხვერპლი, არამედ რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის წყალობითაც, რომელსაც ძველთაგანვე სურდა ამიერკავკასიისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებაც.

აღმოსავლეთის ქვეყნებში ცარიზმის საგარეო პოლიტიკის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „კონსტანტინეპოლის დაპყრობასაც... ცარიზმი საუკუნეების მანძილზე ეხეშფოვნის, რისთვისაც სისტემატურად ატარებს სათანადო პოლიტიკას და ამისათვის იყენებს ყოველგვარ წინააღმდეგობასა და შეჯახებას დიდ სახელმწიფოთა შორის“. (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 23, გვ. 159).

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, 1810 წელს, ასეთივე ბედი ეწია იმერეთის სამეფოსაც. საქართველოს მართვა-გამგეობა რუსეთის შიდა გუბერნიების წესზე მოეწყო.

ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას, იბრძოდა სუვერენიტეტისათვის, ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ექვსი თვის შემდეგ, 1918 წ. 26 მაისს, კვლავ არ აღიდგინა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲕᲘᲙᲘᲠᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ
22 ᲛᲐᲘᲡᲘ

● ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ-ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲮᲡᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲔᲫᲔᲑᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სნაიპერები შენობათა სახურავებზე, ტყვიაგაუმტარუილტებიანი ავტომატებით შეიარაღებული პოლიციის გაძლიერებული რაზმები — უშიშროების ასეთ გაზრდილ ღონისძიებებს მიმართეს ბრიტანეთის ხელისუფლებმა ჰიტროუს აეროპორტში, სადაც კვირას გვიან საღამოს დაჯდა თვითმფრინავი, რომელმაც დიდ ბრიტანეთში ჩამოიყვანა სხიერელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ შამირი.

დღეს გაიმართება მისი შეხვედრები პრემიერ-მინისტრთან მარგარეტ ტეტჩერთან, საგარეო საქმეთა და თანამშემგობრობის საქმეთა მინისტრთან ჯეფრი ჰაუსთან, სხვა ოფიციალურ პირებთან.

მოლაპარაკებების მთავარი თემაა მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. ადგილობრივი „პრესის აზრით, ისრაელის მთავრობის მეთაური ლონდონში ჩამოვიდა, რათა ზეიმიწევნით გააცნოს ბრიტანეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე არჩევნების გამართვის გეგმა, რომელიც თელ-ავივმა წამოაყენა, და შეძლებისდაგვარად შეეცადოს მოიპოვოს მათი მხარდაჭერა.

● ᲑᲔᲚᲒᲘᲐ-ᲒᲬᲠ

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲨᲔᲭᲠᲔᲜ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲡᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. ნატოელ მოკავშირეთა პოზიცია ბირთვული ტაქტიკური რაკეტების მოდერნიზაციის საკითხში წინანდებურად განსხვავებულია, ეს განაცხადა ბელგიის პრემიერ-მინისტრმა ვილფრედ მარტენსმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ჰელმუტ კოლთან სამუშაო შეხვედრის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში. მათ, კერძოდ, განიხილეს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე ნატოს საბჭოს სპეციალური სესიისათვის მზადება, რომელიც 29-30 მაისს ბრიუსელში გაიმართება. როგორც მოელიან, ბირთვული შეიარაღების მოდერნიზაციის პრობლემა სესიაზე ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს დაიკავებს.

მარტენსმა აღნიშნა, რომ ბელგია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წინანდებურად მხარს უჭერენ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან მოლაპარაკების დაწყებას ევროპაში ტაქტიკური ბირთვული იარაღის თაობაზე. ასეთი მოლაპარაკებისკენ გამართვის წინაადგილდეგ, თქვა მან, ილაშქრებენ ამერიკის შეერთებული შტატები, აგრეთვე დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

● ᲐᲨᲨ

ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. აქ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოვიდნენ ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და შეერთებულ შტატებში ვიზიტად მყოფი საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი. მათ გააცნეს მოლაპარაკების შედეგები.

როგორც ჯ. ბუშმა განაცხადა, მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იყო ნატოს საბჭოს სპეციალურ სესიაზე ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკის წევრი სახელმწიფოების ხელძღვანელთა მომავალი შეხვედრის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის განხილვა. ამერიკელი პრეზიდენტის თქმით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ბირთვული შეკავება უზრუნველყოფს მათს თავისუფლებას, უშიშროებასა და მშვიდობას“. გარდა ამისა, განაცხადა ჯ. ბუშმა, მოლაპარაკების დროს ერთმანეთს გაუზიარეს „ზრი მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე, კერძოდ, „ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის გაღრმავების თაობაზე“, „ლიბანში სიტუაციის მოწესრიგების“, დასავლეთ ნახევარსფეროში „მშვიდობისა და დემოკრატიის“ საკითხებზე.

ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა ფ. მიტერანთან გაწეული იმ ცვლილებების მნიშვნელობა, რომლებიც საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ხდება.

უპასუხა რა ეურნალისტთა კითხვებს, ჯ. ბუშმა აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ამჟამად „მიმდინარეობს „ცივი ომის“ მდგომარეობიდან გამოსვლის პროცესი, რომელიც შეიძლება ძალზე გაჭიანურდეს“. ჯერ კიდევ იქნება მომენტები, როცა საქმის ვითარება უფრო გაძნელდება, მაგრამ, არა მგონია, რომ ჩვენ დავუბრუნდეთ „ცივ ომს“, გახაცხადა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

როცა შეეხო ჩინეთში მიმდინარე „დრამატულ მოვლენებს“, ჯ. ბუშმა მოუწოდა თავი შეიკავონ დემონსტრაციების მონაწილეთა მიმართ და მიიღონ ღონისძიებები იმისათვის, რომ გამოძებნონ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები „მხარს უჭერს სიტყვის თავისუფლებას, კრებების თავისუფლებასა და პრესის თავისუფლებას“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. „ჩვენ გვსურს ვხედავდეთ ჩინელ ხალხს, რომელიც სარგებლობს დემოკრატიზაციით“, — განაცხადა პრეზიდენტმა, და გაიმეორა, რომ ასეთ ცვლილებებს უნდა მიიღწიონ მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. ისეთი აქციების ჩადენა, რომლებსაც შეიძლება სისხლისღვრა მოჰყვეს, — დასძინა მან, — დაუშვებელია“.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ. ანატოლიის სააგენტო იუწყება: თურქეთის აღმოსავლეთით, ქალაქ ერზერუმის მახლობლად მოხდა რიხტერის სკალით 5,1 बाალი ძალის მიწისძვრა. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა მცირედდასახლებულ მთიან რაიონში, რომელიც ქვეყნის დედაქალაქიდან დაახლოებით 800 კილომეტრზე მდებარეობს. მსხვერპლისა და ნგრევის ამბავს არ იუწყებიან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას

დაგვიანებით მივიღეთ თქვენი აკადემიის ა. წ. აპრილის II-ის მიმართვის ტექსტი, მაგრამ სომხეთის აკადემიის სახელით საგზრდ მიგვიჩნია ერთხელ კიდევ გამოვსაქვაო ჩვენი განრისხება ა. წ. აპრილის 9-ს თბილისში მომხდარ ბარბარობის მიმართ, რომლის მსხვერპლად გახდნენ სრულიად უდანაშაული ადამიანები. ასევე დაგმობის ღირსია საყოველთაო ინფორმაციის საშუალებათა ცდები, რათა არა ობიექტურად და ცრუმეტყველობით განიშუქოს მომხდარ უბედურ ფაქტი. ეს გარემოება ჩვენ მოგვაგონებს იმავე საინფორმაციო საშუალებათა საქმიანობის მეთოდებს სუმგაითში სომეხთა გაძევების გამუქებისას. წარმოუდგენელი და დაგმობის ღირსია ისიც, რომ უიარაღო ადამიანთა მიმართ გამოყენებულა გაზი, რომლის შედეგინლობა და ბუნება აქამდე გამოგვანეული არაა. ასეთი მდგომარეობა შეფასებული უნდა იქნას როგორც საბჭოთა ხელისუფლების, კერძოდ გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის წინაღმდეგ მიმართული ქმედება.

თქვენ უნდა დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენი უბედურება და მწირი ისევე ჩვენ გვიკვნინს, ჩვენი საკუთარი მწირია.

ჩვენი მიმართვა განგებისადმი, რათა დაუვიწყარი იყოს მსხვერპლთა ხსოვნა, ხოლო მათ ნათესავებსა და ახლო ქართველ ხალხს – ნუგეშისა ცემა და მოთმინება მოანიჭოს.

მიღებული ერთხმად სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1989 წლის მაისის 10-ის სხდომის მიერ.

სომხეთის სსრ აკადემიის პრეზიდენტი,
აკადემიკოსი ვ. ა. ამბარცუმიანი
პრეზიდიუმის აკადემიკოს-მდივანი
დ. მ. სედრაკიანი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 22 მაისი. (საინფორმის სპეც. კორ. ოლეგ სერდობოლსკი). ამბობენ, მეგობარი ჭირში იცნობაო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე ატკინა გული ლენინგრადელებს თბილისის ტრაგედიამ. ქალაქის ცენტრში მდებარე „ლოკომოტივის“ სტადიონმა ძლივს დაიტია ყველა, ვინც სამგლოვიარო მიტინგზე მივიდა, რომელიც მშვიდობიანი ადამიანებისადმი სისხლიანი დარბევის მსხვერპლთა ნათელ ხსოვნას მიეძღვნა.

მიტინგის მოწყობაში მკვიდრ ლენინგრადელებთან ერთად მონაწილეობდნენ იქ მცხოვრები ქართველები, მათ შორის შოთა რუსთაველის სახელობის საზოგადოებისა და სათვისტომო „ივერიის“ წევრები. ლენინგრადელებთან შეხვედრაზე მოვიდნენ თბილისის წარმოგზავნილებიც. მათ მიეცათ პირველი სიტყვა, რათა თვითმხილველთაგან შეეტყოთ მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქში მომხდარი ამბები. მწარე სიმართლე ზუსტ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ილაპარაკეს პოეტებმა ნუგზარ კობერიძემ და იზა ორჯონიკიძემ, რეჟისორმა რეზო ესაძემ.

იმან, რაც მათ ილაპარაკეს, მწვავე ტკივილი და სირცხვილის გრძნობა გამოიწვია. ჩვენმა სტუმრებმაც, ჩვენმა ძმებმაც მთლიანად შეიგრძნეს მიტინგზე, რომ ლენინგრადელები არა მარტო სამძიმარს უცხადებენ, არამედ კისრულობენ კიდეც პასუხისმგებლობას იმ ბარბაროსული აქციისათვის, რომელიც შეუთავსებელია დემოკრატიზაციის პროცესთან. ჩვენ ხომ ერთი ქვეყნის მოქალაქენი ვართ, და ყველაფერი, რაც მის ნებისმიერ კუთხეში ხდება, ჩვენი საერთო საქმეა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა იური ბოლდირევმა საჯაროდ აღუთქვა თანამემამულეებსაც და სტუმრებსაც, რომ გამოიყენებს თავის საპარლამენტო უფლებებს, რათა ხალხმა რაც შეიძლება მალე შეიტყოს სამართლე როგორც ბელორუსიაში, ისე საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. მას მხარი დაუჭირა ახალგაზრდა მეცნიერმა სერგი ანდრეევმა, რომლის კანდიდატურაც დასახელებული იყო აგრეთვე სახალხო დეპუტატად. მას მიაჩნია, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ თმობენ პოზიციებს გარდაქმნის მოწინააღმდეგე ძალები, რომლებიც იმით არიან დაინტერესებული, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს.

„ლენფილმის“ მსახიობმა ელენე დრაპეკომ განაცხადა, რომ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივა საკუთრივ მოაწყოს თბილისში მომხდარი ამბების გამოძიება. კინემატოგრაფისტთა მოგზაურობის საფუძველზე შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, რომელიც ხელი შეუშვა დეზინფორმაციის ტალღის გავრცელებას ცხრა აპრილის ტრაგედიის შესახებ.

— მოვუწოდებთ ყველას, ხმა აღიმაღლონ სიცოცხლის უფლებისათვის, ადამიანურობისათვის, ის, რაც თბილისში მოხდა, მარტო ქართული ტრაგედია კი არა, ჩვენ საერთო უბედურებაა, და ერთად უნდა ვიბრძოლოთ, რათა ეს აღარ განმეორდეს, არასოდეს და არსად, — განაცხადა აკადემიკოსმა ალექსანდრე ალექსანდროვმა.

მიკროფონთან მიდიან ახალ-ახალი ორატორები — გაზეთ „სმენის“ რედაქტორი ვიქტორ იუგინი, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა სიმძიმილი თბილისის შესახებ, ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ეკატერინე მიასნიკოვა, რომელიც ქართველ მეგობრებთან ყოფნის დროს გახდა ტრაგედიის მოწმე, კლუბ „გარდაქმნის“ წევრი ვლადიმერ რამი. მან აღნიშნა, რომ ქართულმა ზარმა, თუ მოქალაქეობრივ სიფხიზლეს არ გამოვიჩენთ, ყველა ჩვენგანისათვის შეიძლება ჩაროკოს.

მიტინგის მონაწილეებმა მიღებულ რეზოლუციაში მოითხოვეს ობიექტურად და საჯაროდ გამოძიონ თბილისის ტრაგედიის ყველა გარემოება და ბრალეულნი პასუხისგებაში მისცენ.

„ქართველ ძმებსა და დებს ლენინგრადელებისაგან“ — წარწერილია გვირგვინის შავ ლენტზე, რომელსაც მიტინგის მონაწილეთა თხოვნით საქართველოში წამოიღებენ თბილისელი სტუმრები. უბედურებას გამოეხმაურა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიაც. მაცხოვარ-ფერისცვალების ტაძარში სამი დღის მანძილზე მიმდინარეობდა წირვა თბილისში დაღუპულთა ხსოვნის სულის მოსახსენიებლად.

დუმილის ხანგრძლივი წუთი. თავდახრილი იდგნენ მუშტშემართული მონაწილენი. ათასობით ადამიანი და სრული სიჩუმე...

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲜ: ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ.
ᲚᲔᲜᲘᲜᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲮᲔᲗᲥᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ყოველი კუთხიდან თბილისში მოდის სამძიმრის დეპეშები, თანაგრძნობის წერილები, რომლებშიც ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები გამოხატავენ გულისტკივილს 9 აპრილის ტრაგედიის გამო

სტიქია და ადამიანები

პროგლემები წყდება, პროგლემები რჩება

ბათუმი, 20 მაისი. (**საინფორმაციო სააგ. კორ.**). აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის საგანგებო და მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა. კონკრეტულად გააანალიზეს მთიან აჭარაში შექმნილი ვითარება, დასახეს მისი ნორმალიზაციისათვის შემდგომი მუშაობის გზები.

საქინფორმის კორესპონდენტები შეხვდნენ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ავტონომიური რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარეს სულიკო ინაიშვილს და სთხოვეს გაეცნო საქმის ვითარება.

— მთიან აჭარაში სტიქიით გაფლეთილი ზარალი უზარმაზარია — 200 მილიონი მანეთი! ნაწილობრივ ან მთლიანად დაინგრა 1.280 საცხოვრებელი სახლი, რომლებიც ვეღარ აღდგება. 1.652 სახლი შეკეთებას მოითხოვს. დაზიანდა 400-მდე სახალხო-სამეურნეო ობიექტი, დაიკარგა 7.000 ჰექტარი მიწის სავარგული. დაზიანდა 66 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. მათგან 21 უნდა აღადგინოთ, რადაც უნდა დაგვიჯღეს და რაც შეიძლება მალე. ამოცანა უაღრესად რთულია. სხვათა შორის, მთიან რაიონებში ერთი მოსწავლის ადგილს მშენებლობა 2.000 მანეთი ჯდება. დასახლების განსახორციელებლად ჩაებმებიან სამშენებლო ორგანიზაციები საქართველოს სხვა რეგიონებიდან.

დიდ დახმარებას გვიწევენ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მომდინარე წლისათვის გამოყოფს 85 მილიონ მანეთ კაპიტალდაბანდებას კაპიტალური რემონტისათვის, ხოლო 1990 წლისათვის გამოიყოფა კიდევ 45 მილიონი მანეთი. რაც შეიძლება ეფექტიანად უნდა ავითვისოთ ეს სახსრები.

მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დახმარების ხელი გამოუწოდა დაზარალებულებს. ეს არიან სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები, საზოგადოებები და ცალკეული მოქალაქეები. მაგალითად, საქართველოს დიზაინერთა საზოგადოებამ დახმარების ფონდში გადარიცხა 30 ათასი მანეთი, ხოლო მისმა ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ზურაბ წერეთელმა სამი ათასი მანეთი შეიტანა. გარდა ამისა, დიზაინერები მზად არიან ერთ-ერთ დაზარალებულ ოჯახს აუშენონ საცხოვრებელი სახლი.

— პრაქტიკულად რა გაკეთდა ან რა კეთდება ადგილებზე?

— ხულოს რაიონის სოფელ ჭაბლანში გრძელდება საძიებო-აღდგენითი სამუშაოები, განუწყვეტლივ მუშაობენ ადამიანები და ტექნიკა. მეზობელ სოფლებში ხიხაძირში, ვერნებში, ფუშრუკაულში, თხილვანასა და სხვა სოფლებში კი უკვე აღდგენილია გზები. ახლა გეოლოგები მუშაობენ იმ ადგილებში, სადაც იცხოვრებენ გადმოსახლებულები. საჭიროა მივცეთ დასკვნა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ. საპროექტო დაწესებულებებს დაევალათ შეიმუშაონ არა მარტო სახლების, არამედ მთელი სოფლების, საცხოვრებელი კომპლექსების პროექტები. მთიან აჭარაში ხომ მრავალი სოფელი მთლიანად ან ნაწილობრივ დაცარიელდა. მაგალითად, ხულოს რაიონის სოფელ ჭაოში მცხოვრებმა 102-ვე ოჯახმა დატოვა მშობლიური კერა და გორის რაიონში სახლდება. გოდგაძეებიდან 100-მდე ოჯახი გაიგზავნა თეთრი წყაროს რაიონში. შუახევის რაიონიდან 73 ოჯახი უკვე გადასახლდა წულუკიძის რაიონში.

სულ კი ხულოს რაიონიდან გეგმაზომიერად უნდა გადასახლდეს 1680 ოჯახი; 650 ოჯახი უიდეულობს განთავისუფლებულ სახლებს საქართველოს სხვა რაიონებში. შუახევის რაიონიდან უკვე გადასახლდა 737 ოჯახი, 377 ოჯახმა ინდივიდუალურად იყიდა სახლები. ქედის რაიონში ეს ციფრები შესაბამისად შეადგენს 60 და 50-ს. მთიანი აჭარიდან მომდინარე წლისათვის გათვალისწინებული პირველი და მეორე ეტაპების მანძილზე გადასახლებული ოჯახების საერთო რიცხვი შეადგენს 3.635-ს. ათასამდე კაცი ჯერჯერობით აჭარის ჯანმრთელობის კერებსა და ტურბაზებში დაბინავდა.

ახალმოშენებს უფასოდ ეძლევათ ტრანსპორტი, რომელიც ბარგიანად გადაიყვანს მათ ახალ საცხოვრებელ ადგილას. თითოეულ ოჯახს ეძლევა ერთდროული დახმარება: 100 მანეთი — ოჯახის უფროსს, დანარჩენ წევრებს 50-50 მანეთი. ეძლევათ აგრეთვე ფული ერთი ძროხის შესაძენად. ეს საკითხები განსაკუთრებით, ოპერატიულად წყდება ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებში. გარდა ამისა, დაზარალებულ ოჯახებს ეძლევათ შეღავათიანი კრედიტები.

ისინი, ვინც უკვე შეარჩია თავისთვის ადგილი, აშენებენ ან ააშენეს დროებითი საცხოვრებელი და მუშაობენ მინდვრად. სხვათა შორის, ბევრნი არ ელოდებიან, როდის აშენდება საფუძვლიანად და კაპიტალურად მათი სახლი, აგებენ დროებითს საცხოვრებლებს და გადიან მინდვრად. გლეხი და მიწა განუყრელია.

დაზარალებულთა შორის არიან მარტოხელები, ინვალიდები, მოხუცები. მათთვის ქედაში, შუახევსა და ხულოში აშენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

თუმცა ძირითადად გადასახლების პროცესი გეგმაზომიერად და დაუბრკოლებლად ხორციელდება. მაგრამ ეს არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. აჭარის მთები მუდმივად არის დასახლებული. აქ ცხოვრობს 17.000 კომლი, ეს 85 ათასი კაცია. სამ ეტაპად 5.000 ოჯახის გადასახლება პრობლემას მთლიანად ვერ წყვეტს. შემდგომში საჭირო გახდება კიდევ დაახლოებით 2,5 ათასი ოჯახის გადასახლება. მთები უნდა განტვირთოს, განთავისუფლდეს მეტისმეტი დაწნეხისაგან.

ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარი.

განმე ხალხის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ბერიძე („ბოლშევიკის“ საკ. კორ.). ყვავილა — ტყვიათუთიის მაღაროთასამმართველოსათვის საიმედო ბაზის შესაქმნელად, იქაურმა გეოლოგებმა დეტალურად დაზვერეს ყვავილის, ვარახმობისა და ვალხოხის მარაგები. მათი გაანგარიშებები დამტკიცა სახელმწიფო კომისიამ და „კარგზე“ შეიფასა. მადნის. გამოკვლეული მარაგი ყვავილის მაღაროთასამმართველოს საპროექტო სამძლავრეს მრავალი წლით უზრუნველყოფს.

— გეოლოგიური გამოკვლევების ანალიზი გვიჩვენებს, — გვითხრა ყვავილის გეოლოგიური საძიებო პარტიის მთავარმა ინჟინერმა გ. გაბუევმა, — რომ სამხრეთ ოსეთში არის სამშენებლო მასალების საბადოები, რომელთა ექსპლოატაციაც შეიძლება. ქვიშის, ხრეშის, მოსაპირკეთებელი ქვის, სამშენებლო ტუფის, მარმარილოს საბადოები ადვილი მისაღწევია და მის ათვისებას დიდი დანახარჯები არ სჭირდება. ისინი ხალხის სამსახურში უნდა ჩადგეს.

რას ითხოვს სვანეთი

მესტია („კომუნისტის“ საკ. კორ. ტელეფონით). ასეთი ხალხმრავლობა იშვიათად ახსოვს მესტიას. 22 მაისს დაბის ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბნენ რაიონის მშრომელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან. გამიმართა მრავალთასიანი მიტინგი, რომელიც მოაწყო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების რაიონულმა განყოფილებამ.

მიტინგს წინ უძღოდა ერთკვირიანი შიმშილობა, რომელიც 16 მაისს დაიწყო. მაში მონაწილეობდა 50 ადამიანი, უპირატესად ქალები, მრავალშვილიანი დედები.

როგორც მოშიმშილეთა, ასევე მომიტინგეთა მთავარი მოთხოვნა იყო საკითხთა მთელი წრე, რომელთა დადებითად გადაწყვეტა საგრძნობლად შეუწყობს ხელს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, ეკოლოგიური საკითხების სასიკეთოდ გადაწყვეტას.

მიტინგის მონაწილეთა გამოსვლებში ძირითადი ყურადღება დაეთმო ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის შენებლობის სრული ლიკვიდაციისა და მესტიის რაიონის ეროვნულ პარკად გამოცხადების აუცილებლობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში მიიღო დადგენილება იმის თაობაზე, რომ შეწყდეს მდინარე ენგურზე ხუდონჰესის ყველა სამუშაო, ავტორიტეტიანი ეკოლოგიური კომისიის დასკვნამდე. იქვე მითითებულია, რომ აქ განხორციელდეს მხოლოდ ობიექტის კონსერვაციასთან დაკავშირებული პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოები.

მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს მშენებლობის ყველა კვანძზე მუშაობის შეწყვეტა, ვინაიდან იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მესტიის ეკოლოგიურ მდგომარეობას, ამის დასადასტურებლად უამრავი მაგალითი დაასახელეს. ხუდონჰესის კაშხალს, მის წყალსაცავს, რომელიც დამოკლეს მაზგილიგით აღმამართება მაღალმთიან სვანეთში, მუდმივი შიშის ქვეშ ეყოლება არამარტო მესტიის რაიონი, არამედ მისი მეზობელი რეგიონი, მთელი ენგურის ხეობის მოსახლეობა.

დროა შეწყდეს სვანეთის მდიდარი ბუნების განადგურება, ხეტყის საწარმოო დანიშნულებით ჭრა და მისი გაზიდვა. საჭიროა სვანეთის ძვირფასი ფლორა და ფაუნა შევუნარჩუნოთ შთამომავლობას. თუ უახლოეს პერიოდში მესტია ეროვნულ პარკად არ გამოცხადდა, იგი ვერ აცდება განადგურებას და მოსალოდნელია აქ აჭარის მთიანეთის ტრაგედიის განმეორება — აცხადებენ მიტინგის მონაწილენი.

მათი ერთსულოვანი მოთხოვნაა პრინციპული ყურადღება მიექცეს და შესრულდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 10 მარტის დადგენილება — „მესტიის რაიონში სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციისა და რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საღამოს, მიტინგის დამთავრების შემდეგ 7 საათზე სპორტულ ბაქანი აქცია შეწყდა.

მიტინგი თბილისში

21 მაისს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა საწარმეო მიტინგი. მიტინგის მონაწილენი, სხვა საკითხებთან ერთად, მოითხოვდნენ ქართველი ჭაბუკების მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდას შშობლიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

„გზა-შარაში ხომ არ დავრჩებით?!.“

ზემო აჭარის მასალები

ზემო აჭარა ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რეგიონი იყო, მაგრამ მის ხეობებში თითქმის ერთდროულად დაწყებულმა მეწყერებმა გარდაუვალი საშიშროება შექმნა. გეოლოგების დასკვნით „ქანთა მოძრაობა განპირობებულია მთათაწარმოშობი პროცესებით; მეწყრის უეცარი გააქტიურება კი დიფუზიულობამ და ტყეთა განეკითხავმა ჩეხვამ გამოიწვია (არაა გამორიცხული მიწისძვრათა გავლენაც)....“ ამჟამად ხულოს რაიონში 76 დასახლებული პუნქტია და მათგან 56 სოფელში უკვე დაწყებულია აქტიური მეწყერი (25 სოფელში ცხოვრება შეუძლებელია); შუახევში 40-მდე სოფელია და მათგან 22-ში უკვე საშიშია დარჩენა; მსგავსი სიტუაციაა ქედის რაიონშიც. სულ კი ზემო აჭარიდან სასწრაფოდ გასახიზნია 4000-მდე ოჯახი. ამასთან, სტიქია უფრო და უფრო მძლავრობს და საშიშ ზონებში მყოფ მოსახლეთა რიცხვიც იზრდება.

სხალთისწყლის ხეობაში, სოფელ წაბლანასთან ახლოს. ჩანჩურიხევში ჩამოქცეულმა სოლგომანის მთამ (მთა მთას შეასკდა...) 24 ადამიანი იმსხვერპლა, 7 კაცი ჯერაც არაა ნაპოვნი.

თითქოსდა, სრულიად საქართველოს ყურადღება აქეთკენაა მიმართული, მაგრამ ტრაგედიის ადგილზე გაირკვა, რომ ზრუნვის კონკრეტული გამოვლინებანი, რიგ შემთხვევაში საკმარისი როდია უბედურებაში ჩავარდნილთათვის: ეს კარგად ჩანს ოფიციალური ცნობებისა და რეალური მონაცემების შედარებითაც:

საქინფორმის ცნობა: „სოფელ წაბლანაში დატრიალებული ტრაგედიის ადგილზე ყოველდღე მუშაობს 500-600 კაცი. დაახლოებით 50 ერთეული ტექნიკა“ (გაზეთი „კომუნისტი“ 1989 წ. 3 მაისი)...

ტრაგედიის ადგილი, 3 მაისი, 1989 წ. (მოგვყავს სხვადასხვა პირისაგან ჩაწერილი მასალა): „ადრე მართლაც ბევრი მუშაობდა, მაგრამ ამ ბოლო დღეებში 9-10 კაცი და სამი-ოთხი ტრაქტორი თუ მუშაობს“... „ზოგი მანქანა გაფუჭდა, ზოგის მძღოლი შინ წაეიდა, ვის ზეპირი არა აქვს და, ვის — საწვავი. რათ გვინდა უძრავი ტექნიკა?!“... „ძმა მეწყერმა დაიტანა. მის ძებნაში ვარ და, ტრაქტორს მოყვანაზე უნდა ვიჩხუბო?“.. „გაზეთებში წერია, თბილისმა, ქუთაისმა ტექნიკა გამოგაგზავნესო. აქ არ ამოსულა და, სად არის, რა ვიკითი“... „დაკარგული მყავს ქმარი. შვილი, მაზლი, მაზლიშვილი. აი, ის ჯაოში უნდა იყონ. იქ ტრაქტორი ვერ შედის, ვერც ხელით ვმუშაობთ, სპეციალური ტექნიკა არ ამოსულა. მალე ძილებს ამოვიტანთ და წყალს ამოვაშრობთო. ამ დაპირებებში გადის დრო. მერე იტყვიან, ძებნა აღარა აქვს აზრი და თავს დაანებებენ, ვიცი მე... სხვისი მკვდარი სხვას მძინარე ეგონაო... სწორი თუ იყო არ მჯეროდა!“.. ამოვიდა კაცი ბათუმიდან, დახმარება ვთხოვე და სამძებრის მაგიერ ყვირილი დამიწყო, მე კიდევ ყვირილი მინდა?!.“ „უცხოსობამაც აღარ იცის, როგორ ეძებოს დაღუპულები, რა ქნას რაიონის ხელმძღვანელობამ. გამოცდილებაც არა აქვს, მშენებლობის სწორი ორგანიზაციაც არ ხდება, სპეციალისტები არ არიან... არადა, გაზეთებში წერია, ყველაფერი რიგზეაო. სინამდვილეში სხვაგვარადაა საქმე. ვინ აწვდის ამ ცნობებს?!..“

მსგავსი გულდამფიქრალი ფრაზების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა...

უბედურება ბევრ რამეს ხდის საჩინოს. წლევანდელმა აპრილმა ისიც წარმოაჩინა, თუ რა ძნელად გვიხდება ჩვენი სიმპრონის გატანა, ჭიშს საკუთარი უბედურების ნამდვილი სახის ჩვენება დანარჩენი სამყაროსთვის...

... სხალთისწყლის ხეობაში წაშველ სამუშაოებს ვინც ასრულებს, ნამდვილი ვირტუოზები არიან. რა გაძლება უნდა ქკონდეს კაცს, ჯერ ფეხმძიმე ქალის ზედა ნელი ია ოვო, შემდეგ.. ბუცლიდან გამოვარდნილი ბავშვი და ამ საშინელებას გაუძლო?!.. ხელით მუშაობა უკვე შეუძლებელია, სპეციალური ტექნიკა და საძიებო სამუშაოების სწორად წარმართვაა საჭირო.

ახლა ხელოვნურად შექმნილი ტბის ამოშრობაა საშური. ზოგი დაღუპული სწორედ აქ ეგულებათ. ტბის დაშრობას კი სპეციალისტები და სათანადო ტექნიკა სჭირდება. ჩვეულებრივი ბულდოზერებით ვერაფერს გახდება კაცი.

ხულო. 4 მაისი. რაიონის ცენტრში ჯგუფ-ჯგუფად დგანან აფორიაქებული ადამიანები, ელოდებიან ავტოპუსებს, ახალი სამოსახლოებიც დასათვალიერებლად რომ წავიდნენ. ისმის უკმაყოფილო ხმები. ერთ-ერთი ჯგუფისგან ვინღრი მათს გულისტკივილს: „ჩვენ, ლუტკელებმა, დავათვალიერეთ ჯავახეთის სოფლები, სამოსახლოდ მოგვეწონა გოკია. იქ 60 ოჯახს შეუძლია დასახლება (ცოტათი მაინც ჰგავს ჩვენს კუთხეს), მაგრამ, რატომღაც, ადგილობრივი ხელისუფლება უარს გვეუბნება, მხოლოდ ხუთი კომლი შეიძლებაო. ჩვენ კი არ გვინდა დავიშალოთ. ერთად ვცხოვრობდით და ერთად გვინდა“...

სავსებით სამართლიანია მათი ჩივილი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ბოკია არს ქალაქი მცირე“. წარმოუდგენელია, ნაქალაქარმა, თუმცა დღეს უკვე პატარა სოფელმა, 60 ქართული ოჯახი ვეღარ დაიტიოს. ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: ახალქალაქის რაიონის ხელმძღვანელობისგან მხოლოდ ხუთი სოფელია (აფნია, პრტენა, გოგაშენი, ოკამი, ჩუნჩხა) შემოთავაზებული სამოსახლოდ. ხალხმა, გადასახლების მსურველებმა. საერთოდ არაფერი იციან სამხრეთ საქართველოს ბევრ სოფელსა თუ ნასოფლარზე, რომელთა განახლება უპირველესი ეროვნული საქმეა; სამაგალითოდ დავასახელებთ რამდენიმეს: ტობა — ნასოფლარი ახალციხის რაიონში; ინდუსა — ნასოფლარი ასპინძის რაიონში; ქილდა — ნასოფლარი ახალქალაქის რაიონში; კოთელია — სოფელი ახალქალაქის რაიონში და სხვ... სასურველი იყო, მთელი ყურადღება სამცხე-ჯავახეთისკენ მიგვემართა თავიდანვე, ვინაიდან სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ისტორიულად ერთნაირ პირობებში ჩამოყალიბდა და იმთავითვე ერთ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა.

სამწუხაროდ, უბედურება რომ დაგეატყდება თავს, მაშინღა მოვეგებით ხოლმე გონს. საჭიროა, დროულად, ტრაგედიის დატრიალებამდე შევუდგეთ გახიზნვას. განსასახლებლებმაც უნდა დაუჯერონ ერის სიტყვას, მეცნიერულად დასაბუთებულ აზრს, და ვიდრე სახლი თავს წამოემხობოდეთ, მანამ დამკვიდრდნენ უსაფრთხო ალაგს. აჭარელი კაცი ახალციხის რაიონში; ინდუსა — ნასოფლარი ასპინძის რაიონში; ქილდა — ნასოფლარი ახალქალაქის რაიონში; კოთელია — სოფელი ახალქალაქის რაიონში და სხვ... სასურველი იყო, მთელი ყურადღება სამცხე-ჯავახეთისკენ მიგვემართა თავიდანვე, ვინაიდან სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ისტორიულად ერთნაირ პირობებში ჩამოყალიბდა და იმთავითვე ერთ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა.

სამწუხაროდ, უბედურება რომ დაგეატყდება თავს, მაშინღა მოვეგებით ხოლმე გონს. საჭიროა, დროულად, ტრაგედიის დატრიალებამდე შევუდგეთ გახიზნვას. განსასახლებლებმაც უნდა დაუჯერონ ერის სიტყვას, მეცნიერულად დასაბუთებულ აზრს, და ვიდრე სახლი თავს წამოემხობოდეთ, მანამ დამკვიდრდნენ უსაფრთხო ალაგს. აჭარელი კაცი ტორიული მესხეთი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა აჭარა — საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე (საყურადღებოა ისიც, რომ მესხურ-ჯავახური, აჭარული, იმერხეული და გურული კილოები ერთ დიალექტოლოგიურ ჯგუფს ქმნიან). მის (ისტორიული მესხეთის) ყოფნა-არყოფნაზე, მის ერთიანობაზე, სიძლიერეზე იყო დამოკიდებული მთელი საქართველოს მომავალი. ამას, ჩვენთან ერთად, მტერიც ხედავდა და ამიტომაც ცდილობდა მის დაკნინებას. სწორედ ანტიქართული პოლიტიკის შედეგად იქცა მესხეთი მთელ საქართველოში ერთადერთ მხარედ, სადაც მრავალსარწმუნოებრიობა ჩამოყალიბდა. სარწმუნოებრივმა სხვადასხვაობამ კი ბევრი უბედურება მოუტანა ქართველ ერს...

ისტორიული მესხეთის აღორძინების მძლავრ იმედს ზემო აჭარის ქართველობა წარმოადგენს; აქ მთელადაა დაცული ის უძველესი ფესვი, რომელსაც ყოველთვის ძალუძს განახლება... საყურადღებო და სიმბოლურია ერთი დეტალი: ჩანჩურიხევში დაგუბებული წყალი რომ გაუშვეს; ნიაღვარმა წაიღო ახალაგებული ხიდი. წყალი გადადიოდა თამარისდროინდელ ხიდზეც, რომელსაც ვერაფერი დაკლო ბომბარმა მდინარემ, მხოლოდ რესტავრირებული ნაწილი მოაცილა... ამაყად დგას სხალთის ეკლესიაც, რომელსაც ზემო აჭარაში მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლთა სოფლები შეუხიზნავს... 11 და 23 აპრილს, გლოვის დღეებში აქ დანთებულმა სანთლებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, თუ რაოდენ საშურია ამ წმინდა სალოცავის აღმოჩენა.

ისტორიულ მესხეთს მხოლოდ ეროვნული გრძნობები და ენთუზიაზმი ვერ აღორძინებს. ახალმოსახლეებს რეალური დახმარება სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკის, ასევე მთლიანი საქართველოს ხელისუფლების თითქმის ყველა წარმომადგენელი სერიოზულადაა დაინტერესებული ზემო აჭარის პრობლემების ერის სასიკეთოდ გადაჭრით, ხალხში მაინც არ არის ნდობა. მათ ეშინიათ, რომ დაპირებები არ შეუსრულდებათ და „ჰაერში გამოკიდებულნი“ აღმოჩნდებიან... მოგვყავს გასახიზნად გამზადებული ერთ-ერთი ხულოელის ფრაზა: „სვანეთიდან რომ ჩამოასახლეს, იმათ ჯერ კიდევ არ შეუსრულეს ყველა დანაპირები; ჩვენც გვეუბნებიან, წელსვე სახლებს უფასოდ აგიშენებთ, ფულად დახმარებას მოგცემთ და საქონელს დაგირიგებთო, მარა, გარანტია არ გვაქ. გვეშინია, გზა-შარაში არ დავრჩეთ; რასაც გვპირდებიან ყველა რომ შეგვისრულონ, ჯავახეთში წამსვლელი ორჯერ მეტი იქნება...“

ესეთი აზრი ბევრმა გამოთქვა; ზემო აჭარის ტრაგედიასთან დაკავშირებით შექმნილმა მთავრობის კომისიამ დროულად უნდა გამოაქვეყნოს შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტი, ხალხი უფრო დაიმედებული რომ წავიდეს ჯავახეთს.

მერაბ ბერაძე,
ტარიელ ფუტკარაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები.

„ბოლო ეტაპი“ — ეროვნული ფასეულობა

ბათუმი, 20 მაისი. (**საინფორმაციო სააგ. კორ.**). „ბოლო ეტაპი“ — ეროვნული ფასეულობა. ასეთ ფასეულობად ეროვნული ფასეულობა ეროვნული ფასეულობა. ეროვნული ფასეულობა ეროვნული ფასეულობა. ეროვნული ფასეულობა ეროვნული ფასეულობა.